

ცაგერის მუნიციპალიტეტის ოყურემის თემის მაჟორიტარი დეპუტატის ვალოდია  
ყურაშვილის 2019 წელს გაწეული მუშაობის

ანგარიში

2019 წელს სოფელი ოყურეში მრავალი პრობლემის წინაშე იდგა. მოსახლეობასთან შეხვედრაზე ჩართული იყო, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი ასევე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება, მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ა. უგრეხელიძე. საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი გუგავა. მოსახლეობა ითხოვდა სოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას, რომელიც უერთდება ხვამლოზე მიმავალ გზას. გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიღებულია, პროექტი მომზადებულია და გამოყოფილია 3800000 ლარი არსებული გზის რეაბილიტაციისათვის. სასმელი წყლის და შიგა განათებას, რომელიც დაკმაყოფილდა. გაკეთდა უდიდესი პროექტი ხვამლის მთაზე ბეტონის 13 კმ-იანი გზა, რომელიც დასრულებულია. გაკეთდა 211 მეტრი ბეტონის გზა „მამარდაშვილების“ უბანში, რომელმაც დიდი პრობლემები მოუხსნა სოფლის მოსახლეობას. სოფლის ასევე გაკეთდა შიგა განათება „ლეიფნის“ უბანში. „მუშკუდიანების“ უბანში დასრულდა შიდა საუბნო გზა. აღსანიშნავია, რომ ოყურემის თემის ტერიტორიაზე, ქუთაისი-ცაგერის საავტომობილო გზის მიმდებარედ გაკეთდა ტურისტულად მიმზიდველი ობიექტები. კერძოდ, ჭეულის ჩანჩქერთან მისასვლელი კიბეები. ასევე „ლაბგვერიის“ წყაროსთან მოწესრიგდა მოსაცდელი და სველი წერტილები, მოპირკეთდა და კეთილმოეწყო წყაროს მიმდებარე ტერიტორია.

საშემოდგომო სამუშაოები ოყურემის თემში წარმატებულად ჩატარდა. კერძოდ მოსახლეობის ყველაზე დიდი საზრუნავი იყო ყურმნის ჩაბარება და დაბინავება, რაც წარმატებულად იქნა დასრულებული. ამ პროცესში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ცენტრალური ხელისუფლება, რისთვისაც სოფლის მოხლეობა კმაყოფილებას გამოხატავს.